# სახალხო გაზეთი

№ 425 შაბათი, 15 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე № 425

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 დეკემბრიდან წლის ბოლომდე

ღირს 2 მან. 40 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## დ. ყვირილაში

„ოთრაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად

შაბათს 15 ოქტომბრს,

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე

## ორლოვსკის

გარდაცვალების მე-30 დღეს, დანიშნულია პანაშვიდი დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში (ნიკოლოზის ქუჩაზე), რასაც აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ განსვენებულის ქვრივი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ორლოვსკისა შვილებითურთ. (1—1542—1)

მარიამ გიორგის ასული, ნინო გრიგოლის ასული, ნიკოლოზ მიხეილის ძე ივანოვები, ეფემია მიხეილის ასული ჩიქოვანისა და ნატალია მიხეილის ასული უზნაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოდ გარდაიცვალა პირველისა—შვილი, მეორისა—ქმარი და უკანასკნელთა ძმა

## ივანე მიხეილის ძე ივანოვი.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე: კახეთის ქუჩა, № 10. გამოსვენება შაბათს, 15 ოქტომბერს დილის 10 ს. წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (3—871—3)

კნ. ოლღა სარდიონის ასული ხიდირბეგიშვილისა, შვილები ნინო და ივანე, ძმა კონსტანტინე როსტომის ძე ხიდირბეგიშვილი და სიძე სოლომონ ექვთიმეს ძე წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე მეორეთა—მამა, მესამისა—ძმა და მეოთხის სიმამრი

## თავადი გიორგი როსტომის ძე ხიდირბეგიშვილი

დაკრძალვა ს. ხაშურში, კვირას ოქტომბრის 16-ს, დილით. (2—876—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

ქიზიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 690.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირადოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^{1}/_{2}$—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი, ნ. მ. ქირურ. და დეკაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშტარია გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089 584)

## ახალი კლუბი

შაბათს, 15 ოქტომბერს, 1911 წ. მუსიკალური სეზონის გახსნის დღეს,

## პირველი კონცერტი

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით და მ. გ. მინკევიჩისა, ი. პ. სარაჯიშვილის და ლ. ე. ცედლერის მონაწილეობით, შესრულებულ იქნება: არია ლიზასი ოპ. „პიკის ქალი"; არია დონ-ხოზესი ოპ. „კარმენი"; კონცერტი ვიოლონჩელისათვის გოლტერმანისა; უვერტიურა ოპ. „ვილჰელმ ტელი"; მელოდია სვენდსენისა; ვალსი პიჩჩიკატო მორლეისა; 2 ტანცი ბრამსისა; ანდანტინო სიუიტიდან მასენესი; ტანცები ოპ. „ფრინა" ეკკერტისა; საკონცერტო პოლონეზი ვიეხტისა და მარში ოპ. „წინასწარმეტყველი"-დან. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ფასები: ლოჟები ბენუარისა 2 მ., ბელ-ეტაჟი en face—1 მ. 50 კ., გვერდისა—1 მ., ლიტერ. 3 მ, პარტერი: 1 რიგის კრესლო—1 მ., 2 და 3—75 კ., 4, 5, 6 და 7—50 კ., 8, 9, 10, 11 და 12—30 კ. დანარჩენი 20 კ. გალერეაში შესვლა ყველას შეუძლიან და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდიან. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ.

კონცერტის შემდეგ ლოტო და საზანდარი. (2—1514—2)

ტელეფ. № 795. ## ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

კვირას, 16 ოქტომბერს, 1911 წ. გასო აბაშიძის მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა.

## მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ბეჟანიშვილი, ვიქტორელი, კარგარეთელი, ლეჟავა, პიერეტა; ბ-ნნი აბაშიძე, ალუდიშვილი, არადელი, გუნია, გვარამაძე, გამყრელიძე, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ქალის ჭკუა, კლდე, ჯადოსანი, ანტიგონა და სხვ.

(2.877.1) რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი ქართ. დრამ. საზ. ადმინისტ.

კვირას, 16 ოქტომბერს, 1911 წელს, დილის 11 საათზე,

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიატინსკის ქუჩა, № 5) დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა

## საზოგადო კრება.

განსახილველია:

1) მოხსენება საბჭოსი წარსულ და მომავალ მოქმედების შესახებ.
2) ანგარიში საზოგადოების თანხის შესახებ.
3) ამა 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
4) მიმდინარე საქმეები.
5) ახალ წევრების მიღება. (3—873—2)

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—151)

ექიმი მედიცინისა წამლობა ჭლექისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაბიანცი ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულიონი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (100—1534—5)

## ჭიათურის

მავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნა 16 ოქტომბრისათვის. კრების საგანი არჩევნები: 1 დირექტორისა, საბჭოს 3 წევრისა და სარევიზიო კომისიისა. კრება დანიშნულია ჭიათურის თეატრის დარბაზში, შუადღის 12 საათზე. (3.1522 3)

## თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ" ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაწარმოებისას. ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველასი.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდე ქუთაისში — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ორი აბაზია. (15—1539—2)




(25—1456—26)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 (25.822.23)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი ი. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (0—157)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ზ. ნ. მაზაქიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—49

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბოჩოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდ. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^{1}/_{2}$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშთალევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606"-ით.

(წლ.—1090—182)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განჯის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპიჩოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყოფკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1}/_{2}$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლაბდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვთხაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ს. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—7)

მედიცინის დოქტორი

## ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 18, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს, 6—8 ს.-მდე. (20—1420—82)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამეანო და სადედაკაცო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადედაკაცო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—19)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მელიქოვისა.

ექიმი იგ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე. ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—818—25)

ექიმი ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 29, ტელეფონი N 1067. (100—1117—26)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-მანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—52)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—24)

## წინამძღვარი

ტფილისის წმ. სამების ეკლესიისა მღ. ვას. კარბელაშვილი კრებულითურთ სთხოვს ზემოხსენებულ ეკლესიის მრევლს, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ ეკლესიაში კვირას, 16 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ეკლესიის მნათისა და მის მოადგილის ასარჩევად. (4—863—3)

დიდუბის ეკლესიის კრებული სთხოვს მრევლს, რომ კვირას, 16 ოქტომბერს, დილის 11 საათისათვის

## მობრძანდნენ

დიდუბის საეკლესიო ეზოში ამავე ეკლესიის მნათისა (სტაროსტისა), სამზრუნველოს წევრებისა და მრევლის წარმომადგენლების ასარჩევად. (3—875—2)


## ადგილობრივი პრესა

„მნათობი" განაგრძობს კამათს საქალაქო არჩევნების გამო, მაგრამ პრინციპიალურ კამათის მაგიერ, ინსინუაციებით ჰსურს ლელოს გატანა. ამასთანავე ერთად ეს ინსინუაციები იმდენად გულშემზარავია, რომ ხშირად პასუხის გაცემის ხალისი გვეკარგება. აი, მაგალითად, რასა სწერს „მნათობი" ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის შესახებ,

„ამ ორ „ჭეშმარიტთა" ასეთი კავშირი ძალიან კარგად ახასიათებს მესამე „ჭეშმარიტთა" სულის კვეთებასა და მისწრაფებას, მე მოგახსენებთ ქართველ ნაციონალურ ჯგუფზე. რომელიც ხან ჭეშმარიტ რუსების ჯგუფს უშვრება თვალსა და ხან „ცენტრის ჯგუფს" ემუდარება მოწყალება მოიღე და ცოტა მეც მიწილადე ქალაქის იმ დიდი ულუფიდან, რომელსაც შენ ასე მთლიანად შეექცევიო"

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ „ნათობი" ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფს ჭეშმარიტ რუსებს უპირისპირებს. რა სახელი უნდა ეწოდოს გაზეთს, რომელიც ამ ორ ჯგუფის შორის განსხვავებას ვერა ხედავს? ამ სახელის გამოძებნა მიუდგომელ მკითხველისთვის მიგვინდვია, ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ „მნათობი" ჰქოჩიკანობს, თითქოს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი „ჭეშმარიტ რუსების ჯგუფს უშვრებოდა თვალსა". სად იყო ეს, როდის? ნამუსიც კარგი საქონელია, ამის მეტს ვერაფერს ვეტყვით „ნათობი"-ს „პუბლიცისტებს" რადგანაც სულ ერთია, დამჯდარი პრინციპიალური კამათი იმათთან, ვინც ბორიოტად ეკიდება მკითხველ საზოგადოების მოთმინებას, შეუძლებელია.

## ახალი ამბავი

ტფილისი

— დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის საფლავზე ძეგლის ასაგებად, როგორც გავიგეთ, უკვე წარმოუდგენიათ რამდენიმე მოდელი სხვათა შორის ბერლინიდან წარმო

გენილ იყო სამი მოდელი ხუროთმოძღვარის ცარისა. ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილის სიტყვით, რომელიც ხელოვნების კარგი მცოდნეა და თითონაც მშვენივრად ხატავს, ეს მოდელები უბრალო სასაფლაოს ძეგლებისებური იყო და ამიტომ დაიწუნეს. ქართველ მექანდაკის ი. ნიკოლაძის მოდელმა კი ყურადღება მიიპყრო. მოდელი დაუთვალიერებიათ: განსვენებულის მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულს, ა. პ. სარაჯიშვილს, დუშეთის მაზრის წინამძღოლს ბ. გურამიშვილს მეუღლით, მხატვარს გაბაშვილს და სხვათა. და მოუწონებიათ. მექანდაკეს დავალებული აქვს ნამდვილ მონუმენტის ნახევარ ზომის მოდელი გააკეთოს და, თუ მოიწონეს, მაშინ ძეგლის აგებას მას მიანდობენ. მონუმენტის იდეა მეტად საყურადღებოა, მასში შეერთებულია სიკვდილის ფილოსოფია და განუსაზღვრელი მწუხარების სიმბოლო. დაწვრილებით ცნობებს და მოდელის სურათს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ გუშინ, საღამოს 5 საათზე ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი მეუღლითურთ მექანდაკე ი. ნიკოლაძის ატელიეში იყო და დ. ზ. სარაჯიშვილის ძეგლის მოდელი დაათვალიერა. მოდელი ძლიერ მოეწონათ და ავტორს მიულოცეს. 5 ნახევარ საათზე მოდელი დაათვალიერეს აგრეთვე ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა და მისმა მეუღლემ. მოდელი მათაც ძლიერ მოეწონათ.

◆ **ქალაქის გამგეობამ** საბჭოს მომავალ კრებას მოხსენებას წარუდგენს იმის შესახებ, რომ გამგეობას საწინააღმდეგო არა აქვს-რა, თუ სიმბირსკის ოლქში დაზარალებულთა სასარგებლოდ კავკასიაში შეგროვილ თანხიდან 76,000 მან. და 10,000 მანეთი კავკასიაში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაიდება.

◆ **ქალაქის საგუბერნიო საკრებულომ** 13 ოქტომბერს დაამტკიცა ხმოსანთა ამომრჩევლების უკანასკნელი სია. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს წინადადება მისცა სიიდან ამოშალოს ის ამომრჩეველნი, რომელნიც დარჩენილ შესაფასებელ-გადასახადებს 20 ოქტომბრამდე არ შეიტანენ. საბოლოო სიებს ქალაქის საბჭოს კანცელარიაში 20 ოქტომბერს გამოაკრავენ.

◆ **ქალაქის მდივანს** მ. ა. ჯაბარს მიენდო, შეეკითხოს ამომრჩევლებს, რომელთაც რამდენიმე ცენზი აქვთ, რომელ უბანში სურთ მიიღონ მონაწილეობა. ვინცობაა 17 ოქტომბრამდე განცხადება არ იქნა წარმოდგენილი, გამგეობა თავის ნებით მიაწერს რომელიმე უბანს.

◆ ცენტრის ჯგუფის ამომრჩეველთა და მათ მომხრეთა ყველა რაიონების წარმომადგენელთა **საერთო კრება** 13 ოქტომბერს მოხდა ტფილისის „კრუჟოკში“. კრებაზე გადასწყდა, შექმნან საორგანიზაციო ცენტრალური ბიურო, რომელშიაც შევლენ ავტონომიურ რაიონების წარმომადგენელნიც სამ-სამი კაცი. ეს ბიურო სხვა საკითხებთან ერთად შეიმუშავებს ხმოსანთა კანდიდატების საბოლოო სიას.

◆ **ხილეულობის და მწვანილეულობის გამოფენაზე** გუშინ ჩამოიტანეს ნიმუშები ისაია ფურცელაძის მამულიდან სოფ. მერეთიდან (გორის მაზრა). ნიმუშები ყურადღებას იპყრობს თავის ღირსებითა და მრავალ-ფეროვნებით.

◆ **საფონდო ოპერაციები** საბირჟო კომიტეტში 20 ოქტომბრიდან დაწყებული დილის $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ მოხდება. ამის გამო კომიტეტმა დაადგინა ეს გარემოება ყველა საბანკო დაწესებულებას აცნობოს.

◆ გუშინ დილით გამგეობის წევრმა ნ. ე. **არგუთინსკიმ და სატყე-საბაღო კომისიამ** ის 80—100 დესეტინა მიწა დაათვალიერეს ავლაბარში, რომლის იჯარით აღება საცდელ ბოსტნის გასაკეთებლად სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ ითხოვა. საღამოს ამ საკითხის გამო გამგეობის კრება მოხდა, რომელზედაც ხელშეკრულება განიხილეს.

## საზოგადოებანი და კრებანი.

◆ დღეს, საღამ. 8 საათზე, **საგეოგრაფიო საზოგადოების** სადგომში (მოსკოვის ქუჩა, სახლი № 2), მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდება, რომელზედაც ვ. მ. სისოევი წაიკითხავს მოხსენებას: „სომხების ძველი ეკლესიები მდინარე გარნის ხეობაში, ერევნის ახლოს“.

◆ **ქ. ხ.-სამეურ. საზოგ. საბჭოს კრებამ** ხუთშაბათს, განიხილა ის საკითხები, რომელიც უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას: მოხსენება საბჭოსი წარსულ და მომავალ მოქმედების შესახებ, ანგარიში საზოგადოების თანხის შესახებ, 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამ. გამგეობის** უკანასკნელ კრებაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) თხოვნა თელავის განყოფილებისა, რომ შემოსავლის 20 პროცენტი არ გადახდეს—გამგეობამ უარჰყო. 2) ზედაზნის მონასტრის გამგის შუამდგომლობა, რათა საზოგადოება მონასტრის შეკეთებაში დაეხმაროს და ილიასეულ საგურამოს მამულიდან გადაეცეს ორი დესეტინა მიწა; გამგეობამ დაადგინა, უარი ეთქვას და გარდა ამისა საბჭოს წევრს ა. ყიფშიძეს დაავალა ხელწერილი ჩამოართვას წინად გადაცემულ მამულების შესახებ, რომ ამ მამულით მონასტერი დროებით სარგებლობს 9 წლის განმავლობაში 3) დაბა ხაშურელების თხოვნის მიხედვით გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა იქ უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო გახსნან. ხარჯს დაბელები კისრულობენ. ბიბლიოთეკის გამგედ და მთავრობის წინაშე პასუხისმგებლად ბ. გ. ბურგაია დაუნიშნავთ. 4) სენაკის სკოლის გამგის თხოვნა, რათა სკოლის ბიბლიოთეკის ასაგებად გაეგზავნოს უფასოდ საზოგადოების გამოცემანი, დაკმაყოფილებულ იქმნა. გაეგზავნება 30 მან. წიგნები. 5) ა. კაპანაძეს მთიულებისათვის დასარიგებლად 30 ცალი „დედა-ენა“ გაეგზავნოს.

## სასწავლებლებში

◆ ხვალ, 16 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ვაჟთა **პირველ გიმნაზიაში დელეგატთა კრება** მოხდება ამ გიმნაზიის მშობლების წრისა. კრება განიხილავს წრის მომავალ წლის სამოქმედო გეგმას.

◆ **ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში** წელს კურსი დაამთავრა 9 მოწაფემ, ამათგან 1 რუსია, 3 ქართველი და 5 სომეხი.

## სასამართლო

◆ **საოლქო სასამართლოს** 1 ლ სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩა 12 ოქტომბერს ახალქალაქის მცხოვრებ არშაგირ დიათიანცის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა რკინის გზიდან მოტყუებით მიღება მისდამი გაგზავნილ საქონლისა გადასახადის გადაუხდელად. დამნაშავეს იცავდნენ ნაფიცი ვექილი გ. გრუზენბერგი და მისი თანაშემწე გ. ჟორდანია. სასამართლომ დიათიანცი გაამართლა.

## ქუთაისი

◆ ქუთაისის საკრებულო ტაძრის ირგვლივ გალავნის გაკეთების საქმე გადაწყდა. ყოვლად-სამღვდელოს ამ საგნის თაობაზე გუბერნატორისათვის უკვე წარუდგენია გეგმა და მისი დამტკიცების შემდეგ ეს საქმე საიჯაროთ გაიცემა. სასურველია, რომ ქალაქის შუაგულ ადგილს შესაფერი და შნოიანი რამ გაკეთდეს.

## პროვინცია

◆ **ახალი სენაკი.** როგორც სენაკიდან ჩამოსულმა გადმოგვცა, ამ დღეებში დ. ახალსენაკში თავი მოუკლავს ადგილობრივ გამომძიებელს ტომით გერმანელს, გამომძიებელი სრულიად ახალგაზდა კაცი ყოფილა და ახალ სენაკშიც ახლად დანიშნული, სიკვდილის წინ განსვენებულს ადგილობრივ მსაჯულისათვის წერილი მიუწერია, თავს ვიკლავო. მსაჯულიც გამოემგზავრა თურმე, მაგრამ ველარ მიუსწრია. რა იყო მიზეზი ასეთი თავგანწირვისა, არ იციან.

◆ **სოფ. ვარდისუბანი.** (თელავის მაზრა), ნიკოლოზ სოხაშვილის ბოჭკების სახელოსნოში შევიდა სოფ. წინანდლის მცხოვრები არჩილ ბეჟაშვილი, რომელსაც ანგარიშების გამო სოხაშვილთან ჩხუბი მოუვიდა და უკანასკნელი ხანჯლით ზურგში მძიმედ დასჭრა. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. მკვლელი გაიქცა.

## ილიას ძეგლის გამო

(გაკვრით).

ჩემის ფიქრით, ჩვენ, ქართველებს, იმ თავიდანვე „დაგვეკვება“, რომ ჩვენებურმა საზოგადო საქმემ უნდა იდონდილოს და კუს ნაბიჯით იცოცოს... მკითხველმა კარგად უწყის, რომ ერთგვარი აპატიის ბეჭედი აზის თითქოს ყველა ჩვენ საზოგადო საქმეს. მაგალითების ჩამოთვლა ზედმეტია. ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს ისეთი საპატიო ეროვნული საქმე, როგორიცაა სასიქადულო მამულიშვილის ილიას ძეგლის დადგმა და კურთხევა, რის დაგვირგვინებასაც დიდი ხანია ისეთის ინტერესით მოელის შეგნებული ნაწილი ქართველი საზოგადოებისა. აგერ მესამე წელიწადია, რაც ჩვენი მესვეურნი შეუდგნენ ამ საქმეს და მას შემდეგ მიცოცავს იგი დინჯად, უხალისოდ, სვენებ-სვენებით... ჯერ, როგორც იყო, ძეგლის უმთავრესი ნაწილი დაამზადებინეს საზღვარგარედ და მოახწევინეს ბათომამდე, სადაც შეკავებული იყო ნახევარ წელიწადზედ მეტს საბაჟო გადასახადის შეუტანლობის გამო; შემდეგ რა გაჭირვებით, მოვახწევინეთ ტფილისამდე და... დიდი ხნით შევინახეთ ქართულ გიმნაზიის დარბაზში. ბოლოს გაბედეს და გაზაფხულზე შეუდგნენ საძეგლო კვარცხლბეკის აგებას იმ დაპირებით, რომ 15 აგვისტოსთვის მზად უნდა ყოფილიყო.

მერე გვითხრეს, ილიას გარდაცვალების მეოთხე წლის თავზე, 30 აგვისტოსათვის, დამზადდებაო, მაგრამ, თქვენგან არ მიკვირს,—ქართული საქმე და თავის დროზედ პირნათლად ასრულება!..

მერე და მერე ფირმანი გამოვიდა, რომ ძეგლი ილიაობა დღეს, 27 ოქტომბერს, მზად იქნებაო.. ეხლა კიდევ გაზეთების ახალი ცნობებიდან სჩანს, რომ „უმთავრესი სამუშაო დამთავრებულია, მაგრამ 27 ოქტომბრისათვის მაინც მზად არ იქნებაო“, ე. ი. როგორც ჩვეულ ვართ, ისე რომ გავიგოთ, საქმის დაგვირგვინებამდე კიდევ გასტანს ორიოდე თვე, როდესაც გვარიანად დაზამთრდება...

ამ წერილით ჩვენა გვსურს აღნიშნულ საქმის მოთავეთა ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციოთ: რადგანაც ძეგლის კურთხევა არ მოხერხდა არც ილიაობას, არც გარდაცვალების დღეს და ვინაიდან ამ კურთხევას, რა თქმა უნდა, დაესწრებიან წარმომადგენლები საქართველოს ბევრ პროვინციებიდან, კარგი იქნება ეს კურთხევა ზამთარში არ მოხდეს, როდესაც ბევრ პროვინციებიდან ჩამოსვლა გაჭირდება, არამედ, ბარემდა, გადაიდოს გაზაფხულამდე.

თუ მაინცა და მაინც ძეგლის კურთხევას უეჭველად წელსვე აპირებენ, მაშინ კურთხევის დღე საჭიროა ერთი თვით წინ მაინც გამოცხადდეს, რომ პროვინციის საზოგადოებაც მოემზადოს.

გ. ა—ცაბელი.

## წერილი სოფ. მაღლაკიდან

**(ქვემო იმერეთი).**

ქუთაისიდან ხონის გზა-ტკეცილით მეათე ვერსზე მდებარეობს ს. მაღლაკი, რომელიც შესდგება ზემო და ქვემო მაღლაკისაგან. აქ კარგა ხანია არსებობს ორი სამინისტრო სასწავლებელი; შარშან ქვედა-მაღლაკში კიდევ გახსნეს მესამე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი აქაურ მემამულეთა დეისაძეების ხელის შეწყობით. ერთმა მათგანმა სახელდობრ მაქ. დეისაძემ შესწირა საზოგადოებას სკოლისათვის საკმაო ადგილი, მეორემ, ალ. დეისაძემ, ააგო მშვენიერი ორ-სართულიანი აგურის შენობა, რომელიც ჯდება თითქმის ექვსი ათასი მანეთი; აქედან ორი ათასი მანეთის მიცემას დაჰპირდა დირექცია, დანარჩენი ხარჯი კი თითონ ალ. დეისაძემ გასწია.

ამა სამოსწავლო წლის პირველ სექტემბრიდან აუარებელი ბავშვი მიაწყდა ახლად გახსნილ სკოლას; ეს გარემოება არ მოსწონებია ამავე სოფლის სამრევლო სკოლის გამგეს, ადგილობრივ მღვდელს, რომელსაც, როგორც გადმომცა პატივცემულმა ალ. დეისაძემ, საჩივარი გამოუგზავნია ქუთაისის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოში, რომ ჩემი სკოლის მოწაფეები სამინისტრო სკოლაში გადავიდნენო. საბჭოსაც გამომძიებელი გამოუგზავნია საქმის გამოსარკვევად. სწორედ აზრებულია ადგილობრივი მღვდლის საქციელი და საბჭოს მოქმედებაც. ნუთუ არ იციან, რომ ხალხს უფლება აქვს, სადაც უნდათ, იქ მიაბარონ თავისი შვილები. ამ შემთხვევაში, ალბად, ახლად გახსნილი სამინისტრო სკოლა ეხლოვებათ ბავშვებს და იქ აირჩიეს შესვლა და სწავლა. ნეტავი რა საჭირო იყო ამის შესახებ მოხსენება-გამოძიება?! რაღა უნდა დავძრახოთ სხვა, როდესაც სულიერი მამა ასე იქცევა და თანაგრძნობის ნაცვლად, ხელს უშლის და მტრულად ეკიდება ასეთ კულტურულ დაწესებულებას! მაქს. და ალექსი დეისაძეები მადლობის ღირსნი არიან ასეთი ქველმოქმედებისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კეთილად დააგვირგვინებენ დაწყებულ საქმეს. ეს სკოლა ჯერ-ჯერობით ერთ-კლასიანია, ორი წლის შემდეგ მეორე კლასიც მოემატება, რადგან ორ-კლასიან სასწავლებლისათვის შენობაც საკმარისია.

ადგილ. მზ-ნელი.

## იოსებ დავითაშვილის საფლავი

შარშან 50 წელიწადი შესრულდა ჩვენი სახალხო მწერლის იოსებ სვიმონის ძის დავითაშვილის დაბადებიდან. მას კარგად იცნობდნენ თელავის ხელოსნები (დურგლები), იცნობდნენ, როგორც ოსტატს (შეჩუქურთმე იყო), მხოლოდ, როგორც მწერალს — ძალიან ცოტანი. თითონ ყოველთვის მშიერ მწყურვალი, კვირაობით შეჰკრებავდა დურგლის თუ სხვა ხელობის შეგირდებს, წაიყვანდა სახლში და წერა-კითხვას ასწავლიდა, თან რჩეულ წიგნებს უყიდდა და ეუბნებოდა: ისწავლეთ შვილო, ისწავლეთ, რომ ქვეყნიერობისა გაიგოთ რამეო.—გადმომცეს მისმა ნაცნობებმა.

დავითაშვილმა თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები თელავში გაატარა, აქვე გარდაიცვალა 1887 წ. და ასაფლავია თელავის სასაფლაოზე. ამ სასაფლაოზედვე ასაფლავია მწერალი ქალი კნ. ბარბარე დავითის ასული ჯორჯაძისა (რაფიელ ერისთავის და).

ამ ორი მწერლის საფლავი სხვა და სხვა ადგილას იმყოფება, ძეგლი კი სულ სხვა ადგილას დაუდგავთ; ერთ მხარეს აწერია იოსებ დავითაშვილი, მეორეზე—ბარბარე ჯორჯაძისა. ძეგლის დადგმა, როგორც გადმომცეს პოეტის გარდაცვალების შემდეგ აქვე უთავნიათ, ზოგი მისი წიგნები გაუყიდიათ, ზოგიც ამ მიზნისთვის გამართულ წარმოდგენიდან შემოსულიათ და ტფილისიდან გამოუწერიათ უბრალო ალგეთის თლილი ქვა, რომლის მარმარილოს ჯვარი უკვე მოუმტვრევიათ.

თელავში ჯერ-კიდევ არიან ისეთნი პირნი, რომელთაც ახსოვთ ამ მწერალთა საფლავები. არსებული ძეგლი ერთ-ერთ საფლავზე უნდა გადაიდგას, ხოლო მეორეს ახალი დაედგას.

ამ საქმეს დიდი თანხა არ დასჭირდება და არც ისე ძნელია მისი სისრულეში მოყვანა. საჭიროა მხოლოდ თაოსნობა მეტი ყურადღება და ცოტაოდენი შეწირულება.

გ. პატაშვილი.

## სტამბოლის ქართველობა

**ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა.**

უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიანო...

მაშინ, როდესაც სომხებმა თავიანთ სამღვდელოების მეცადინეობით კათოლიკობის დროშის ქვეშ მთელი დასავლეთის და მესხეთ-ჯავახეთის ქართველი ერი, ლათინის მოძღვრებისაგან გამოხსნილი თათრობისაგან, გაკათოლიკებულნი—გაასომხეს და თითქმის ქართველობაზე ხელიც აიღებინეს, სწორედ იმ დროს გამოჩნდა ერთად-ერთი განათლებული ადამიანი, რომელმაც იკისრა ამ მავნე დამღუპველ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა და, თავის სამშობლოზე გულშემატკივარმა, დაიწყო თავის ძალ-ღონით მუშაობა და შეურყეველის ისტორიულის საბუთებით დამტკიცება, რომ ეს სომხებისაგან გაუცხოებული ხალხი გვარ-ტომობით ქართველნი არიან და ქართველ კათოლიკეთ იწოდებოდნენ.

ბრძოლა იმ დროის ფანატიკოს სომხების წინააღმდეგ, თქმა არ უნდა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ეს განათლებული და მეცნიერი ადამიანი პეტრე ხარისჭირაშვილი იყო, მეტად განვითარებული კაცი, მცოდნე ევროპიულ ენების და საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე.

პეტრე ჯერ სამღვდელო პირი იყო, რომის უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-განათლება დამთავრებული. როგორც უბრალო მღვდელი კაი ხანს დაჰყო ვენეციის სომეხ კათოლიკების მხითარისტების მონასტერში.

მამა პეტრე იქვე მთელს ევროპასა და პაპის ტახტის წინაშე ამტკიცებდა ქართველ კათოლიკების არსებობას დასავლეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში და ქართლ იმერეთში.

იმავე აზრის განსახორციელებლად და საქართველოს იმ ნაწილში სწავლა-განათლების შემოსატანად დაარსდა შესანიშნავი მონასტერი ოსმალეთის სატახტო ქალაქ—სტამბოლში.

აქედან დაიწყო ქადაგება ამ ერში, აღვიძებდა მათში გვარტომობის თვით-შეგნებას, აცნობებდა მათ წარსულს, თუ ვინ ყოფილან მათი წინაპარნი? ამ მიზნით იმ მონასტერთან, რომელიც იწოდებოდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერად, გახსნა სკოლა, ააგო ეკლესია, დაარსა ქართული სტამბა, რომლისთვის ზოგიერთი იარაღები და ასოები ვენეციიდან გადმოიტანა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული სასულიერო და სამეცნიერო წიგნები საქართველოში შემოსატანად.

მამა პეტრე მდიდარი არ იყო, ღარიბი იყო და ღარიბადვე მოკვდა. მაგრამ დაუღალავი შრომით, საოცარის ენერგიითა და სამშობლოს სიყვარულით აღჭურვილმა—მხნედ მოახერხა ამისთანა ახალი და ძნელი საქმე. დიდი პატივი და სახელი შეიძინა ამ მონასტერმა საქართველოს ხალხისა პაპისა და ოსმალოს მთავრობის წინაშე.

ამ ქართველ-კათოლიკეთა მონასტერიდან გამოდიოდნენ მშვენივრად დამზადებული პატიოსანი მოძღვრები, განვითარებულნი როგორც სასულიერო მეცნიერებაში, ისე საკუთრივ ექიმობაში, რადგან ესენი უნდა ყოფილიყვნენ უსწავლელ ხალხის მოძღვრებად. იქიდან გამოვიდნენ მრავალი განვითარებული მოძღვრები, იმათ შორის პატრი ალფონსი ხითარიშვილი და ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი.

იმის ტაძრიდან ისმოდა ქართული გალობა და წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე.—

ეს სიმპატიური სავანე მეტად ჰყვაოდა 70—80 წლებში. აი რასა სწერს ერთი ფრანგული გაზეთი „ინდეპანდან“ ბელგიაში 1876 წ. 19 მარტს. 1876 წ. წმინდა იოსების დღესასწაულის დღეს [illegible] დაისწო სტამბოლში ქართველ კათოლიკების ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვას. სხვათა შორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებისა და მისიონერი კრასერი, არქიეპისკოპოსი დეკლოსერი ვიკარი ტერტი და სხვანი. წირვის დროს გალობდნენ ქართულად. ქართული გალობა მოსასმენად საამო ყოფილა“ და სხვა.

ახლა რას ვხედავთ?

ეს ერთხელ აყვავებული მონასტერი, როგორც გვაუწყებს უ. უნადელო „სახალხო გაზეთის“ № 364 ის ფურცლები, უნუგეშო ყოფაშია და სრულებით დამხობისკენ მიისწრაფვის. უვარგისი თუ უნადელო უფროსის ბ. ვარდიძეს იგივე ჩილინგაროვის წყალობით, ძირიანად ინგრევა: უცხო თემის ეპისკოპოსის სარდის განკარგულებით, მამულებს ართმევენ. სკოლებსა ჰხურავენ და ქართულ სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვას სპობენ. სტამბის იარაღები უხმარებლობის გამო ჟანგდება-ოხრდება. მამა ვარდიძე კი მარტო იმასა ზრუნავს, რომ ერთს ოთახში შეიკრიბნენ ბერ-მონაზონნი და ერთი „გემრიელი ჟამნი თქვან სულის საცხონებლად“. აი, რაზე ფიქრობს მამა ვარდიძე იმ დროს, როდესაც სამშობლო თხოულობს დახმარებას, ნატრობს მხნე მამულიშვილებს!

განა მამა პეტრეს ანდერძი ეს იყო? განა მამა პეტრეს მიზანი ეგ იყო?

ნუ თუ მამა ვარდიძემ ისე მალე დაივიწყა მამა პეტრეს ანდერძი, რომელმაც სიკვდილის დროს დაიბარა თავისი მოწაფე-მოძღვრები და საგულისხმო რამ უანდერძა. თუ მამა ჩილინგაროვს დავიწყებია, არ ახსოვს, მე მოვაგონებ თუ ინებებს მას: „საქართველოს სიყვარული, ქართული ენისა და წიგნობრობის პატრონობა. ერთმანეთის სიყვარულის მეოხებით ქართველ კათოლიკების გვარტომობა-მფარველობა და პატრონობა, რომ მათ ტომობას, გვარს და ენას გზაში რაიმე ხიფათი არ მოევლინოს და მათ არ დაუწყო გადაგვარება“ და სხვა. ამასთან ერთი გარემოებაც უნდა მოვიგონოთ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ხარისჭიროვისაგან იყო დაფუძნებული ძმობის იდეაზე. ვინც შემოდიოდა იმ მონასტერში, იმას ქვეყნიერობიდან ხელი უნდა აეღო; რასაც ცხოვრებაში შეიძენდა, მხოლოდ თავის მარტივ ცხოვრებისათვის უნდა დაეტოვებინა ცოტა რამ. დანარჩენი კი ძმობისა იყო და მონასტერისათვის უნდა დაეთმო.

ბევრმა მამებმა შეასრულეს ეს ნაანდერძევი? მე მგონია, არავინ. ეს მამები, მონასტრის ხარჯით გამოზრდილნი, გამოდიოდნენ ცხოვრებაში, ნებივრობას ეძლეოდნენ. მონასტერიც დავიწყებული ჰქონდათ და ძმობაც. ახლაც არიან ზოგიერთი იმისთანა მამები, რომლებიც თავიანთ შენაძენ ოქროებზე სხედან და ჟამნს კითხულობენ.

მამა პეტრემ თავის შესანიშნავი შრომით არაფრისაგან შეჰქმნა დიდი საქმე, და მას საქმე თქვენ, მემკვიდრეებს, დაგიტევებთ, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ ამ დიდებული საქმის დამხობა გინდათ.

იქნება მამა ჩილინგაროვის ლოღიკას საფუძვლად ის მოსაზრება ჰქონდა, რომ ბერ-მონაზონი, მხოლოდ ბერობას უნდა ასრულებდეს, ქვეყნიური დაუტევოს და მარტო სული აცხონოს.

უწინ, როგორც ვიცით, სკოლა-უნივერსიტეტები არ არსებობდა, როგორიც ახლაა. ერთად-ერთი სწავლა-განათლების წყარო მონასტერში იყო. ჩვენი წინაპარნი მაღალ წოდების და მეფის წულები მონასტრებში იზრდებოდნენ. განა ჩვენი დიდებული პოეტი შოთა რუსთაველი გაბეთის მონასტერში არ გამოიზარდა? არა, მამანო, თქვენი გემრიელი ჟამნის თქმა ჩვენ ვერ დაგვიხსნის ახლო. ჩვენ ვართ მოცე

საუკუნოში ახლა სხვანაირად უნდა ვფიქრობდეთ, სხვანაირად უნდა ვმეცადინეობდეთ—ახლა სხვა ქარი ჰქრის, სხვა წისქვილი ტრიალებს...

ეს ზემოხსენებული სტამბოლის მონასტერი დაარსებულია საკუთრივ ქართველ კათოლიკეთათვის, იმათ შვილთა განათლებისათვის, ჩვენი ხალხის წინ-წარმატების მიზნით. ამისათვის სრული უფლება გვაქვს ბევრი მოვითხოვოთ იმ მამებისაგან, რომელთაც ხელთა აქვთ ამ მონასტრისა და მისი სასწავლებლების საქმე და ბედ-იღბალი. მეტადრე მამა ჩილინგაროვისაგან, რომელიც დღეს სათავეში უდგას იმ მონასტრის საქმეს:

თუ მას არ შეუძლიან განაგოს საქმე, როგორც ამ მონასტრის კეთილ-დღეობა მოითხოვს, უკეთ იზავს ეს მძიმე უღელი სხვას მიანდოს უფრო განვითარებულს და ღონიერს, რომელსაც შეუძლიან საქმის გაძღოლა, რომ ბოლო არ მოეღოს ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს. ხმა ერისა—ხმა ღვთისაო. მამა ვარდიძე ვალდებულია თავის სინდისისა და ერის წინაშე, ისმინოს ეს თხოვნა ხალხისა და იმედია, მამა ვარდიძე მოისმენს კიდევაც მთელი ერის ხმას და ჯეროვანად ყურად იღებს. თუ არა და ეს ღაღადი მივა უმაღლეს სასულიერო მსაჯულამდე და მაშინ უფრო იმედია ეს ხმა არ დარჩება ღაღადებათ უდაბნოსაშინა.

ს. ბაგრელი.

# სასამართლოს დარბაზიდან

## შუა აზიის რკინის გზაზე საფოსტო ვაგონიდან 469,500 მან. გატაცების საქმე.

**13 ოქტომბერი**

ჯერ დილის ათი საათი არ არის, რომ სასამართლოს დარბაზის კარებთან აურიებელი ხალხია თავმოყრილი. ხალხის უმრავლესობას მოწმენი შეადგენენ.

სასამართლოს დარბაზში ჯერ კიდევ სიჩუმეა. იქ არიან სასამართლოს დაბალი მოხელენი, ორი-სამი წარმომადგენელი პრესისა, რომელთაც ნელ-ნელა ემატებიან ბრალდებულთა დამცველები და ბოლოს თვით ბრალდებულნი შემოჰყავთ.

დამსწრეთა ყურადღებას იპყრობს პორუჩიკად ნამყოფ ოთხმეზურის დამცველი—მოსკოველი ნაფიცი ვექილი მალიანდოვიჩი, რომელიც სასამართლოში მხოლოდ დღეს გამოცხადდა. სასამართლოში დღეს გამოცხადდა აგრეთვე გრიგოლიას დამცველი ნაფ. ვექილის თანაშემწე ი. კაჩუხოვი.

დილის 11 საათსა და 10 წ. სასამართლოს სხდომა იწყება ბ-ნ ტოლპიგოს თავმჯდომარეობით.

სასამართლოს ბოქაული მოსამართლეებს ატყობინებს, რომ დღეს ახლად გამოცხადდა ორი მოწმე, ხოლო იმათგან, რომელნიც გუშინ სასამართლოში მოვიდნენ, დღეს 12 მოწმე არ გამოცხადებულიყო.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულებმა განაცხადეს, ჩვენს თავს დამნაშავედ არა ვცნობთო. მხოლოდ ერთმა ბრალდებულმა, სახელდობრ ხავთასიმ, სთქვა, დამნაშავე ვარ, მაგრამ არც ფულის მოტაცებაში, არც ბრბოში მონაწილეობის მიღებაში, არამედ ფულის გასაღებაშიო.

თავმჯდომარე. ბრალდებულო, გსურთ თუ არა, რომ ყველაფერი დაწვრილებით სთქვათ?

ბრალდებული ხავთასი. ბ-ნო მოსამართლე, მე ეხლა აღელვებული და ნერვებ აშლილი ვარ. ამიტომ არ შემიძლიან. ისიც საკმარისია, რაც წინასწარ გამოძიების დროს ვთქვი. ახლა მინდა იმას დავუმატო მხოლოდ ის, გრიგოლია არ არის ის პირი, რომელსაც მძარცველთა ბრბოს წევრად ვიცნობდი და მასზე წინად შეცდომით ვუჩვენე.

ამის შემდეგ სასამართლოს დარბაზში შემოჰყავთ ყველა გამოცხადებული მოწმე, რიცხვით 200 კაცზე მეტი, და სასამართლოს დარბაზი ძლივს იტევს მათ. მოწმეთა შორის სხვა და სხვა წოდებისა, პროფესიისა, სქესისა და ეროვნების ხალხია.

მოწმეთა სახელისა და გვარის გამოკითხვას სასამართლო ერთ საათზე მეტს უნდება.

პროკურორის სიტყვით შემდეგ სასამართლო ცალკე ოთახში გადის და შემდეგი გადაწყვეტილება გამოაქვს: 1) ბრალდებულ გრიგოლია ჩვენების ჩამორთმევისაგან გაანთავისუფლოს, თანახმად კანონისა და ამ მოწმის სურვილისა, 2) კოსტავასი და ხავთასის ცოლები და სამი მღვდელი დაუფიცებლად დაჰკითხონ, 3) დანარჩენი მოწმეები დააფიცონ და 4) ის მოწმენი, რომელნიც სასამართლოში არ გამოცხადნენ, თხუთმეტ-თხუთმეტ მანეთით დაჯარიმონ.

ამის შემდეგ სხდომა ნახევარ საათით სწყდება და მოსამართლენი ცალკე ოთახში გადიან მოწმეთა დაკითხვის წესრიგის შესამუშავებლად.

$1^1/_2$ საათზე სხდომა ახლდება. სასამართლოს თავჯდომარე სამის მოწმის გარდა ყველას ანთავისუფლებს იმ პირობით, რომ ზოგი მათგანი 14 ოქტომბერს დილის 10 საათზე გამოცხადდეს და ზოგიც შემდეგ.

შემდეგ კითხულობენ წინასწარ ჩვენებას ზოგიერთ იმ პირისას, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადებულა და შემდეგ უძახიან მთავარ მოწმეს—თელავის მაზრის უფროსს—გამბერგს, რომელიც წინად ტფ. პირველ საპოლიციო უბნის ბოქაულად იყო და რომელმაც შეიპყრო ბრალდებულთა უმრავლესობა.

მოწმე გამბერგი სავსებით ადასტურებს თავის წინანდელ ჩვენებას და უმატებს, მას აქეთ სამი წელიწადი გავიდა და ყველაფერი კარგად არ მახსოვსო. იგი კარგად დაწვრილებით ასწერს ნიკოლოზ ივანოვს, ახასიათებს მას, როგორც ცნობილ აფერისტს და ქურდს, რომელიც, რასაკვირველია, პატარა ქურდობას არ სჩადის. უფრო კარგს ატესტაციას აძლევს მიხეილ ივანოვს, რომელიც, მისის აზრით, უფრო რიგიანი კაცი არის, რადგანაც მიხეილი უფრო ადრე გამოტყდა დანაშაულში, ხოლო ნიკოლოზმა იგი ბევრი აწვალა და დიდხანს არაფერს ეუბნებოდა. გამბერგის თქმით, საქმის უმთავრესი ინიციატორი თოფურია არის, ხოლო ამსრულებელი—ნიკოლოზ თოფურია. ცუდს ატესტაციას აძლევს გამბერგი აგრეთვე სხირტლაძეს, გრიგოლიას და ხაფთასის. სხვათა შორის, თავის წინანდელ ჩვენებას ერთ ახალს ამბავსაც უმატებს; ნიკ. ივანოვი პირველად დუქანში შევიპყრეთ მაშინ, როდესაც სხვა და სხვა ბნელ და საეჭვო პირებთან დროს ატარებდაო. ამ პირთაგან ბევრი ახლა მოწმად არის გამოწვეულიო.

სასამართლოს სხდომა ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე სწყდება 14 ოქტომბრის დილის 10 საათამდე.

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

13 ოქტომბერი.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატის გუშინდელმა სხდომამ მთელი დრო გზათა მინისტრის უკანონო მოქმედების განხილვას მოანდომა. დეპუტატები ძალიან ცხარედ ლაპარაკობდნენ და მინისტრის თვითნებობასა და არა-კონსტიტუციონურ მოქმედებასა ჰგმობდნენ, რომელმაც სიჩუანისა და ქუბეის ამბოხება დაბადა. მთავრობას უსაყვედურებდნენ, სუჩანის ამბოხების დროს სისუსტე გამოიჩინეო. ამბობდნენ, იუიჩენას დაუსჯელობა ძალიან ცუდად იმოქმედებს პროვინციის მთავრობაზეო. ერთხმად დაადგინეს, მეფეს წაუკითხონ მოხსენება, რომელშიაც გზათა მინისტრს ჰგმობენ. რადგან სხდომამ მწვავე ხასიათი მიიღო, თავმჯდომარემ კრება დაშალა.

**ტოკიო.** იაპონიის არაოფიციალური პრესა ჩინეთის რევოლუციონერების გამარჯვებას თანაუგრძნობს და იაპონიის მთავრობას მოუწოდებს, ჩინეთის საქმეში ნუ ჩაერევიო.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატის მოხსენების თანახმად, მეფის ბრძანებით გზათა მინისტრი თვითნება განკარგულების გაცემისა და მოქმედების გულისთვის გადააყენეს, თავად ცინსა, ნატუნსა და სიუიშიტჩანს საყვედური გამოუცხადეს, რადგან მათ ნება მისცეს მინისტრს ამ თვითნებობისა, რომელიც ხალხის უკმაყოფილობის მიზეზი გახდა. გზათა მინისტრად ტანშაოი დანიშნეს. პეკინში დაარსდა „წითელი ჯვარი“, რომელიც სანიტართა რაზმს ქუბეის ჰგზავნის. ქვრივმა დედოფალმა 50 ათასი მანეთი შესწირა. მეორე ბრძანება სიჩუანის ამბოხებას განმარტავს—ადგილობრივმა მთავრობამ მცხოვრებლები გაამწარაო. იგი დასჯილ იქმნება. ბრძანება გასცეს, პროვინციის კომიტეტის წევრნი, ეჭვით დაპატიმრებულნი, ყველა გაანთავისუფლეთო. ჩენდუფუ მეამბოხეებმა აიღეს. ამბობენ, ჯაოერფინი მოჰკლესო. ქალაქი ნანჩანფუ გაჭირებაშია. 6000 კაცისაგან შემდგარ რაზმს, რომელიც ლუანჩოუში სდგას, ებრძანა რკინის გზით ქუბეიში წადითო. ჰფიქრობენ, სატახტო ქალაქის მოხელეებს ჯამაგირები დაუკლონ, გარდა სამხედრო და საზღვაო უწყებისა. სინჩენის ბანკის პეკინის განყოფილება დროებით ფულს აღარ უბრუნებს შემტანლებსა.

## გაზეთებიდან

**გერმანელთა გაფრთხილება.**

გერმანელთა მეზღვაურნი ხანკოუში გერმანელთა მოხალისეებთან ერთად ჩინელთა ბრბოს ესროდნენ. რევოლუციონერებმა „ფატერლ.“ უფროსს დეპუტაცია გაუგზავნეს და განუცხადეს: თუ გერმანელებმა ასე უმიზეზოდ კიდევ დაიწყეს სროლა, იძულებულნი ვიქნებით უჩანის სიმაგრეებიდან სროლით ვე გიპასუხოთო.

**ჩინეთის მთლიანობა.**

ამერიკელთა აზიის ასოციაციამ, რომელიც ბანკირთა და ვაჭართაგან შესდგება და რომელსაც შორეულ აღმოსავლეთთან აქვს საქმეები მოწოდება გამოსცა და ამბობს; ჩინეთის მთლიანობას შეერთებული შტატები დაიცავს, რაც უნდა მოხდეს, იგი ჩინეთის დანაწილებას მაინც ხელს შეუშლისო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

13 ოქტომბერი.

**სტამბოლი.** სტედი პეტერბურგს წავიდა, პორტას დეპეშით ატყობინებენ, ოსმალეთის ჯარი არაბთა დახმარებით ტრიპოლის დაეცა, მერე უკან დაიხია და იტალიელები დიდად დააზარალაო. ბენგაზთან საგრძნობელი ზარალი იმითი აიხსნება, რომ ოსმალთა და არაბთა მსროლელნი სახლებში ჩასაფრდნენ და დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იტალიელებს. იტალიელებმა უკან დაიხიეს გემებზე ავიდნენ და ქალაქს ზარბაზნები დაუშინესო.

**სტამბოლი.** პალატა. სამხედრო ბეგრის კანონპროექტის განხილვის დროს მოლაპარაკე იზმაილ-ფაშამ საბუთად ფონ-დერ-ჰოლც-ფაშის ავტორიტეტი მოიყვანა. სიტყვა ოსმალმა დეპუტატმა ფეხებით გააწყვეტინა: „მიტომაც არ მივიღებთ კანონპროექტსაო.“

ძველი რეჟიმის თანამდებობის პირნი მოვიდნენ, რომელნიც ტრიპოლში იყვნენ განდევნილნი და ახლა იტალიელებმა გაანთავისუფლეს.

**ტრიპოლი** (სპეც. კორესპ.) არაბთა მხედრობის 500 კაცი 10 ოქტომბერს ტრიპოლში იტალიელთა მარცხენა მხარეს გამოჩნდა. 800 არაბამდე მე-82 პოლკის პოზიციის სისწვრივ გამოჩნდა, ბუმელიანიდან აღმოსავლეთით. ათასმა აზიელმა არაბმა ტრიპოლის სამხრეთით ერთს პატარა გორაკს სროლა დაუწყო. ეს გორაკი იტალიელთა პოზიციის მარცხენა ფრთას შეადგენდა, სიმაგრე დ. რომელიც ბერსალიერთ უჭირავთ. არაბთა ერთი ნაწილი ოაზისში გამაგრდა, მეორე ნაწილი ინდის ხურმის ხეებს ამოეფარა და სროლა დაიწყო. სროლამ ორივე მხრიდან საღამომდე გასტანა. ბერსალიერებს 2 აფიცერი და 40 კაცი მოუკლეს. ასი არაბი მოჰკლეს და (?) ტყვედ წაიყვანეს

საღამოს ვქვს საათამდე ტრიპოლის მცხოვრებლებმა ყოველგვარი იარაღი უნდა ჩააბარონ. ვინც დამალავს—სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცემენ. მეორე დღეა ქალაქში შიშიანობაა; ქუჩები ჯარს უჭირავს. არაბთა სახლებს სჩხრეკენ. შტაბის ცნობით ოსმალნი გურიანიდან ჩრდილოეთს, ტრიპოლიდან 90 ვერსის მანძილზე არიან. ოსმალთა გაწრთვნილი მუდმივი ჯარის რიცხვი 4000-მდეა. კრუპის მსწრაფლმსროლელი ზარბაზნებიცა აქვთ, ოსმალთა პოზიცია ძლიერ გამაგრებულია. 9 ოქტომბერს, საღამოს, სხვა და სხვა ადგილას ოსმალთა სამი სანთური გამოჩნდ. ამით არაბებს ანიშნებდნენ საითკენ უნდა წასულიყვნენ; მართლაც 10 ოქტომბერს დილით სურვილს მიაღწიეს.

**ტრიპოლი** (სპეც. კორესპონდ.) დღეს იტალიიდან 4500 ჯარის კაცი მოვიდა ზარბაზნებით. ჯარი გადადის ნაპირს, სადაც დაცვა გააძლიერეს. შერაშეტის გზაზე ოთხი ზარბაზანი სდგას. საღამო დასაზვერად ჰაეროპლანი აფრინდა. შერაშეტის მიდამოებში არაბებმა სახლ-კარი მიატოვეს ღღევანდლამდე 40 არაბი დახვრიტეს,

**სტამბოლი** „ტანინი“ ოსმალეთის კონსტიტუციის შემდგენლ მიხმადფაშის შვილის ალი-ქაიდარის წერილსა ბეჭდავს. ქაიდარი სიხარულით ეგებება რუსეთ-ოსმალეთის დაახლოვებას და ამბობს, მხოლოდ რუსეთმა ანუგეშა ოსმალეთი ტრიპოლის საკითხის გარჩევის დროსაო გერმანელთა მოყვარული „უენ თურქი“-ს კი ამასთან დაახლოვება შეუძლებლად მიაჩნია და ოსმალეთის მონაწილეობით ბალკანეთის კონფედერაციის მომხრეა.

**რომი** (სტეფანი) ტრიპოლში 12 ოქტომბერს ჰაეროპლანიდან 5 6 ათას კაცისაგან შემდგარი მტრის რაზმი შეამჩნიეს. ოაზისში, იტალიის ჯარიდან 800 ადლის სიშორეზე ბევრი შეიარაღებული ხალხი ნახეს იტალიელებმა კრუპის ზარბაზნები დაუშინეს და იქიდან გააქციეს. იტალიელთა პოზიციის მარცხენა მხარეს მტრის 300 გვამი იპოვნეს. ტრიპოლის მიდამოებში, სახლებსა, მაღაზიებსა, სარდაფებსა და ჭებში დიდძალი იარაღი და პატრონა იპოვეს; სასტიკი ჩხრეკაა. იტალიელების ზარალი ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ არც ისე დიდია, როგორც ჰფიქრობდნენ. ბენგაზსა და დერნაში ჯარი უკვე გადავიდა.

## გაზეთებიდან

**საიდ-ფაშის გადაწყვეტილება.**

სალონიკში „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს დეპეშა მიუღია სტამბოლიდან, საიდ-ფაშამ იტალიასთან ომის განგრძობა გადასწყვიტაო. ეს გადაწყვეტილება ვენის კაბინეტის დაპირებას გამოუწვევია. კაბინეტი ირწმუნება თურმე, ბალკანეთში არეულობის მოხდენის ნებას არავის მივცემო.

**ახმეტ-რიზას წერილი.**

ბრიუსელში, პარლამენტის დეპუტატმა დენმა ოსმალეთის პარლამენტის პრეზიდენტის ახმეტ-რიზასაგან წერილი მიიღო. რიზა ევროპას უსაყვედურებს, „იტალიის ყაჩაღობას ხელი შეუწყო, თვალთმაქცობსო“. მერე „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს ამართლებს და მის ცრუ-ლიბერალობას უარ-ჰყოფს. პროგრესის სახელით მოგმართავთ ბელგიელ მოღვაწეთ, საქმე როგორმე მოაგვაროთო.

ამ წერილმა ბრიუსელში შთაბეჭდილება მოახდინა. პარლამენტის მოღვაწეთა ჯგუფმა განიზრახა, დიდ სახელმწიფოთა პარლამენტებს წინადადება მისცეს, აგიტაცია დაიწყონ და ბერლინში კონფერენცია მოიწვიონ ოსმალეთ-იტალიის მოსარიგებელ პირობის გამოსარკვევად.

**ინგლისის განზრახვა.**

ვენაში ყველას გულისყური „დეუტიშე ვოლკსბლატში“ დაბეჭდილმა წერილმა მიიპყრო. გაზეთის ცნობით, ინგლისს უნდა მთავრობის სათავეში ქიამილ-ფაშა იდგეს. მაშინ ინგლისი შუამავლობას იკისრებს და ოსმალეთს სამაგიეროდ მესოპოტამიაში ადგილების დათმობას მოსთხოვს. ქიამილ-ფაშაც, ვითომ, ამ განზრახვის მომხრე ყოფილა.

დიპლომატთა წრეში ეს წერილი გერმანელ მმართველ წრეებისაგანაა ნაკარნახევი იმ მიზნით, რომ ინგლისს ოსმალეთის თვალში სახელი გაუტეხონო.

გაზეთ „რულს“ რომიდან ატყობინებენ: დილას ოსმალთა გაძლიერებულ სროლის დროს, იტალიელები გადმოვიდნენ და დიდ მსხვერპლ შემდეგ ხომსი აიღეს, ტრიპოლიდან 60 კილ. მანძილზე ბრძოლის ველზე 200 მოკლული ოსმალი დარჩა. რაზმთა უფროსების ცნობით, ტრიპოლის 30 პატარა თემმა იტალიას მორჩილება გამოუცხადა.

**ზავის პირობები.**

გაზ. „რულის“ კორესპონდენტი რომიდან იწერება 9 ოქტომბრის თარიღით: დღეს სარწმუნო წყაროებიდან გავიგე რომ იტალიის ახლა მხოლოდ ასეთ პირობებს მიღება შეუძლიან; 1) ოსმალეთს იტალიამ უნდა აუნაზღაუროს იმ მამულის ფასი, რომელიც მეფესა და სახალი-

# სპარსეთის არეულობა

დეპეშები

13 ოქტომბერი.

**ჯულფა.** ურმიიდან იუწყებიან, 10 ოქტომბერს, საელჩოს სადარაჯოს უფროსმა ივანოვმა, შვიდი ყაზახით ურმიიდან პუშკინის უღელტეხილამდე 1000 აქლემის ქარავანი მიაცილა, რომელსაც რუსის ქვეშევრდომთა საქონელი მიჰქონდათ. მთებში ჩასაფრებულმა ქურთებმა რომ გაიგეს, ქარავანს რუსის ჯარისკაცნი მოჰყვებიანო, გაიფანტნენ. ერთს დაბრუნებულ ქარავანს სპარსელთა სარბაზები დაეცნენ. დარაჯებმა ერთი მოჰკლეს, ორი დასჭრეს. დარაჯებისათვის არა უვნიათ რა.

ურმიის გუბერნატორმა პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა, თავრიზის მთავრობამ სამადხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჩემი გეგმა მოიწონაო. ჩრდილოეთიდან სალმასსა და სოუჯ-ბულაღიდან მარაგს უნდა დაეცეთო. გუბერნატორი რამდენიმე დღის შემდეგ მიდის. სალმასიდან იუწყებიან, ტასუჯში გაგზავნილი მხედრები საჩქაროდ მარანდს დაბრუნდნენო. მაკუს გზაზე სიმკო-ბეკას ქაიდარკლის ტომთან ბრძოლა აქვს. სიმკო ბეკას შვიდი მოუკლეს.

„რუსკოე სლოვოს“ თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, ოსმალთა მისიას პეტერბურგიდან ამბავი მოუვიდა, რუსეთი და ინგლისი სპარსეთის ოკუპაციისათვის შეთანხმდნენო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსი)

1 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. კორტნეიმ მაროკოს საკითხის თაობაზე მსჯელობის ნებართვა ითხოვა. მორლეიმ უპასუხა, უხერხულია ამ საკითხის განხილვა, როდესაც ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამთ რეიხსტაგს და საფრანგეთის პალატას, მთავრობა ამ საკითხს თავის დროზე წამოაყენებს.

**ლონდონი.** პალატამ 230 ხმის უმეტესობით 163 წინააღმდეგ დაადგინა, დაზღვევის კანონ-პროექტის განხილვას 22 დღე მოანდომოს.

**ტოკიო.** ნაგანოს საპრეფექტოში რაღაც უცნაური გადამდები სენი გაჩნდა: ის ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე ხალხს სწრაფად ხოცავს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში ჩეხთა მეთაური კრამარჟი ამტკიცებდა, ჩეხეთა უნდა ჰქონდეთ კაბინეტში მონაწილეობის უფლებაო. მერე დაიწყო სეიმში გერმანელთა მოქმედება და სთქვა, ჩეხებს ბრძოლა კი არა, მშვიდობიანობა სწყურიანთო.

**სოფია.** სოფლოვოში თოფხანას დაეცნენ, დამცემნი დარაჯის სროლის შემდეგ გაიქცნენ.

სავაჭრო ხელშეკრულების თაობაზე ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად, სტამბოლის ელჩიანი სარუფოვი აირჩიეს.

**ვენა.** „კორესპონდენტ - ბიურო“ იუწყება, ჩეხებმა მინისტრ—პრეზიდენტს უმრავლესობასთან შეთანხმებული პირობები წარუდგინეს, მაგრამ გერმანელ ნაციონალისტთა კავშირმა უარჰყო ჩეხთა მოთხოვნილება ჩეხთა სასამართლოებში დიდი ადგილის დათმობისა. უარჰყო აგრეთვე ორი სამინისტრო პორტფელის მოთხოვნილებაც.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ სამმართველოში 200 ათასი ქაღალდის ფული დაიკარგა, რომელიც სახელმწიფო ბანკში უნდა გაეგზავნათ. მოპარული ფული ხაზინადრისა და გამგის მიერ ხელმოუწერელია.

მოპარული ფული შკაფსა და ყუთებთან იპოვეს. ეჭვით ხუთი მოანგარიშე შეიპყრეს.

განათლების მინისტრმა თანამდებობიდან გადააყენა და მასწავლებლობაც აუკრძალა რიგას ოლქში კერძო სასწავლებლის გამგე ოზოლინსს, რომელმაც მოწოდება გაავრცელა, მთავრობის სასწავლებლებში ნუ მიაბარებთ უმაწვილებსაო.

**ბუზულუკი.** ტაშკენტის გზის ბოგატოვის შტოზე მატარებელს უბედურება შეემთხვა. ერთი კონდუქტორი მოკვდა, მემანქანე დაშავდა. ობერ-კონდუქტორი მსუბუქად. ორი ვაგონი დაიმსხვრა.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ სტუდენტ კორშუნოვს, რომელსაც პროფ. იზგოევი პლაგიატორობას სწამებდა, 100 მანეთის ჯარიმა გადაუწყვიტა. თუ არ გადაიხდის, ერთის თვით ციხეში დააპატიმრებენ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „ნორჩი თაობა“, დრამა 4 მოქ. მ. დრეიერისა. მერნერ ფონშლეცკი (ბ-ნი მესხიშვილი) სამხედრო პირია, ცხენოსან ჯარის აფიცერი. ერთხელ ცხენიდან გადმოვარდა, თვალები ასტკივდა და იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა. ამ ავადმყოფობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა ფრივ იგი სრულიად ჯან-საღი კაცია, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე. ცოლიც ენერგიული ჰყავს, სოფლის მეურნე, (ქ-ნი დავითაშვილი) რომელიც მშვენივრად უძღვება საქმეებს. არაფერი არ არღვევს მოსიყვარულე ცოლ-ქმართა იდილიურ ცხოვრებას. მაგრამ სრულიად მოულოდნელად საზაფხულოდ მოსულ შვილს, ახალგაზრდა ფრიდერს (ბ-ნი გვარამაძე) მიჰყვება ანნა მარის (ვერნერის ცოლია) ნათესავი ქალი ერიკა (ქ-ნი პიერეტა). ერიკას თავის ბავშვობაში უნახავს მერნერი, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე. ეს ბავშვურ დროს შთაბეჭდილებანი გაზრდილა და სერიოზულ გრძნობად გადაქცეულა: ერიკას უყვარს მერნერი, შედარებით ხნიანი კაცი. მერნერი ჰგრძნობს ამას, თითონაც გატაცებულია რადაც გა-

მორკვეულ, მაგრამ თავდაუჭერელ გრძნობით ახალგაზდა, ნორჩ ქალისადმი. მერნერს ეშინიან ამ გრძნობისა, ებრძვის მას. იგი ისე ექცევა ერიკას, როგორც ბავშვს, უჯავრდება, ხანდახან კიდეც დასცინის მამაშვილურად, მაგრამ დადგება ხოლმე ისეთი მომენტი, როდესაც იგი პირისპირ ხვდება ნორჩი ქალის ცეცხლის მფრქვეველ, მგრძნობიარე თვალებს და მაშინ კი ჰკარგავს სულის სიმშვიდეს. მერნერს ეშინიან ამ სიყვარულისა, რადგანაც ნათლად აზის ბეჭედი პატოლოგიურ გრძნობისა. ახალგაზდა ფრიდერსაც უყვარს ერიკა, მაგრამ ამ უკანასკნელს ფრიდერის სიყვარული ვერ აკმაყოფილებს. ფრიდერი „ბავშვად" ეჩვენება ერიკას, თვითონ ბავშვსა და ნორჩ ქალსა. მერნერი, როგორც ვსთქვით, ებრძვის ამ გრძნობას, მაგრამ ერთხელ როდესაც უკიდურეს თავ-დავიწყებამდე მივიდა, სიყვარულს თავი მისცა და მის ბოლომდე დასაწურად ადგილი და დრო დაუნიშნა სახლის მახლობლად, ხეივანში. ამ საუბარს შემთხვევით ყური მოჰკრა შვილმა ფრიდერმა. ეს ამბავი იმდენად თავ-ზარდამცემი იყო მისთვის, რომ ტანჯვას ველარ გაუძლო და იმ ხეივანში, სადაც მერნერი და ერიკა უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, თავი მოიკლა.

მერნერზე შვილის სიკვდილმა ისეთი შთაბეჭდილება იქონია, რომ ავადმყოფობამ სძლია და დაბრმავდა. ასეთია კვანძი დრამისა. შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ მერნერისა და ერიკას სიყვარული, ეს ქვაკუთხედი პიესის დრამატიზმისა, რეალობას იყოს მოკლებული, მაგრამ ავტორს ეს გრძნობა, თავის თავად პატოლოგიური ხასიათისა, იმდენად ხელოვნურად აქვს დასურათებული, რომ სრულს ბუნებრიობის შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ყველა მსახიობებმა მშვენივრად შეასრულეს თავისი როლი. დაკვირვებული, ხელოვნური თამაშობა ბ-ნ მესხიშვილისა, მოკლებული ყოველგვარ სენტიმენტალობას, მაგრამ ამასთანავე საკმაოდ ძლიერს, თითქმის უნაკლულო ილიუზიასა ჰქმნიდა. მხიარული მამა, მოსიყვარულე ქმარი, რომელსაც მშვენივრად აქვს გათვალისწინებული ყველაფერი, მაგრამ ამასთანავე აღგზნებული სული მქეჯნავ სიყვარულით, რომელიც ერთის მხრით ძალუმად იზიდავს თავისკენ, მეორის მხრით კი აშინებს. ეს ორმაგი გრძნობა, მუდამ ერთმანეთთან მებრძოლი, საუცხოვოდ გადმოგვცა ბ. მესხიშვილმა თავის დაკვირვებულ თამაშობით.

სხვა მოთამაშენიც ხელს უწყობდნენ მას. კარგად დაგვიხატა ქ-ნმა პიერრეტამ ერიკა, მერნერის დახასიათებით, ბავშვი წლოვანებით, მაგრამ უკვე განვითარებულ სქესობრივ გრძნობით, რომელიც კანონიერების ყოველგვარ საზღვრებსა ჰლახავს, ერიკასთვის არ არსებობს ზნეობრივი წარმოდგა, მან იცის მხოლოდ თავისი გრძნობა, ძლიერი და თავდაუჭერელი გრძნობა, რომელსაც სრულიად ჩაუფიქრებლად ეძლევა. მხოლოდ სიკვდილმა ჩააფიქრა იგი და აატირა. ქ-ნმა პიერრეტამ თავის თამაშობით დაგვიმტკიცა, რომ მას შეუძლიან ისეთი პასუხსაგებ როლების შესრულება, რანაირიც ერიკა' როლია.

მგრძნობიარედ ჩაატარა თავისი როლი ბ-ნმა გვარამაძემაც. რამდენადაც უზრუნველი იყო ფრიდერი პირველ ხანებში, იმდენად დიდმა სულიერმა ტანჯვამ მოიცვა იგი მაშინ, როდესაც მამისა და ერიკას სიყვარულის ამბავი გაიგო. ორივ მდგომარეობაში კარგი იყო ბ-ნი გვარამაძე. მოხდენილად ჩაატარა თავისი პატარა როლი ბ-ნმა გუნიამაც (მოხუცი ფონმლეტელი). ქ-ნი დავითაშვილი (ანნა მარი), პირველ მოქმედებაში ცოტა უგულოდ თამაშობდა, მაგრამ ბოლოს გამოსწორდა და უკანასკნელი სცენა, ფინალი დრამისა, ხელოვნურად შეასრულა.

საზოგადოდ პიესამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოდგენამ იშვიათის ანსამბლით ჩაიარა. არ შეგვიძლიან ჩვენი მწუხარება არ გამოვსთქვათ, რომ ამ მშვენიერს წარმოდგენას, რომელსაც შეეძლო საკმაო ესთეტიური სიამოვნება მიენიჭებინა მაყურებლისათვის, ხალხი ცოტა დაესწრო. გულს უკლავდა ადამიანს ცარიელი დარბაზი თეატრისა!..

Homo.

დღეს, 15 სექტემბერს, „ახალი კლუბი" იწყობს მუსიკალურ საღამოს. ამისათვის იქნება კონცერტი, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობას სიმებიანი ორკესტრი ბ. ს. პრესმანის ლოტბარობით. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი მ. მინკევიჩისა, ი. სარაჯიშვილი და ვიოლონჩელისტი ცედელერი, აგრეთვე სხვა სოლისტები კლუბის ორკესტრისა. როგორც გადმოგვცეს, ორკესტრი კარგად არის შედგენილი მცოდნე პირებისაგან, როგორიც არიან ბ-ნნი ნ. ქართველიშვილი და ი. ანდრონიკაშვილი. ვინც კი ორკესტრის რეპეტიციებზე დასწრებულა, ამბობენ, რომ საუცხოვოდ არის შედგენილი და მომეტებული ნაწილი გამოჩენილ დამკვრელებისაგან შესდგებაო.

უკვე გამოცხადებულია პროგრამა იმ სასიმღეროებისა და დასაკრავ პიესებისა, რომელიც ორკესტრმა უნდა შეასრულოს. სათავეში მცოდნე პირები უდგანან ამ საქმეს და სრული იმედია, რომ ორკესტრი დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

ტფილისიდან გადის:

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 7 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 20 წ., ბალაჯარამი საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარამი დილ 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარამი ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარამი დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ.,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. 8 წ.

ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან:** სახალხო N 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო N 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80—81,—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

## განცხადებანი


მუხრანის ქუჩა

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ოსხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. საყვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

ამშველი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კოლოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

ქიმ[illegible]ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ლ. მ. მონინი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—156

სამკურნალო კაბინეტი

# ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი).

ათაშანგისა და მის შედეგთა,

(ერლიხის „606"-ის საშუალებით

და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სესუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

(25.1505.23)

# 25,000—30,000 მან.

წმინდა მოგებას იძლევა წელიწადში ერთად-ერთი თვალსაჩინო და ფართედ დაყენებული სავაჭრო წარმოება კავკასიაში, რომელსაც ამხანაგი სჭირდება, 3—5000 მანეთის თანხით, ნაწარმოებთა გასავრცელებლად.

მისამართი: Меховой тупикъ N 7, დილის 9—1 საათამდე და ნაშუადღევის 3—5 საათამდე; სიონის ტაძრის მახლობლად.

(3—872—2)

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავად. ყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—? ს. საღამ. 6—7 ს. ნუთხშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მიხაილ. ქ. N სახლი ჭაბაშვილისა (?)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუდიანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. მ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ნ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. მ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—156)

15 ოქტომბრიდან დაიწყება ყოველდღიური

# ავტომობილებით მიმოსვლა

## ტფილისსა და სიღნაღს შუა

როგორც ტფილისიდან, ისე სიღნაღიდან ავტომობილი დილის 8 საათზე გავა. ბილეთები სიღნაღში საფოსტო სადგურზე იყიდება. ტფილისში—„სევერნი ნომრებში", ჩილინგაროვისა და ავლაბრის სადილიჟანსო კანტორებში. ავტომობილები „სევერნი ნომრებიდან" გავა. ბილეთის ფასი 5 მანეთია.

(10—1141—1)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712.

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) სევრიუგა (ტარაღანა).

დ ა ო რ ა გ უ ლ ი

ყოველ დღე ცხელი ლოქო.

საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 40 კ.

ახალი კეტოვი ხიზილალა

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგი ა და ქერჩისა.

(წ.—1053—)

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საქალაქო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის სარისხზე. ყველა კლასის წინისთვის. ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ სარჩოზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—52)

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივება" | | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" | | ფ. 65 კ. |
| Bato n-ისა: | „ერი და კაცობრიობა" | | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა | | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრამა | | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

# „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი შაური.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება გაზეთ „კოლხიდა"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ბუხნიკაშვილი

„ს ო რ ა პ ა ნ ი ს" ახალი გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად მე-6 წიგნი

# „დრამები და კომედიები",

შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები:

1. „მსხვერპლი", დრა 3 მოქ., ი. გედევანიშვილისა.
2. „აირია მონასტერი", ფარსი 3 მოქ., გადმოკ. გ. გუნიასი და თ. სახოკიასი.
3. „გაბატონებული მსახური", კომედ. 1 მოქ., ვ. აბაშიძისა.
4. „პარიზელი ბიჭი", კომედ. 2 მოქ., თარგმანი მ. ჯავრიშვილისა.
5. „რეპეტიცია", ხუმ. 1 მოქ. აკაკი წერეთლისა.
6. „დიდ როლს ვთამაშობ", ვოდევ. 1 მოქ., თარგ. ი. ევდოშვილისა.
7. „ცელქები", ხუმ. ვოდევ. 1 მოქმედებ. თარგ. ეფროსინე ნიკოლაძე-ჰიშინაძისა.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 352 გვერდს და ღირს 1 მან., გაგზავნით ფოსტით 1 მან. 40 კაპ.; მშვენიერ ყდაში გაკეთებული კი 1 მ. 90 კაპ. გაგზავნით. წიგნი იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში. მსურველთ გაეგზავნებათ ფას-დადებითაც.

ვისაც სურს პირდაპირ წიგნის გამოწერა, მან უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Сорапань". (8.1523.9)

Тво

# „Проводникъ"

# ГАЛОШИ



НАИЛУЧШІЯ ВЪ МІРѢ

ПОЛНАЯ ГАРАНТІЯ ЗА ВЫСШУЮ ПРОЧНОСТЬ и ДОБРОКАЧЕСТВЕННОСТЬ КАЖДОЙ ПАРЫ




ГОДОВОЙ ОБОРОТЪ

35,000,000 РУБ.

ШИНЫ

АВТОМОБИЛЬНЫЯ ВЕЛОСИПЕДНЫЯ ЭКИПАЖНЫЯ

БЕЗСПОРНО САМЫЯ ЛУЧШІЯ ВЪ МІРѢ



ПРОИЗВОДСТВО ВСѢХЪ РЕЗИНОВЫХЪ ИЗДѢЛІЙ, ЛИНОЛЕУМА и АСБЕСТА.

СКЛАДЫ и МАГАЗИНЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ.

(40—1528—6)

# გაფრთხილება

## ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქანით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგასხმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებს და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება

„სპერმინ-პელი" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უმგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელია—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

## ამადლენიერებს

(Метцль и К-о. № 95425). (12—1481—5)